

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ. №35 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დაწესებითი განათლება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. მათ შორის: - სპეციალობის სავალდებულო კურსები - 170 კრედიტი; - სპეციალობის არჩევითი კურსები - 15 კრედიტი; - თავისუფალი კომპონენტი - 20 კრედიტი; - პედაგოგიური პრაქტიკა - 25 კრედიტი; - საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მოამზადოს როგორც I-IV კლასების საგანთა ჯგუფის, ასევე I-VI კლასების საგნის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი მასწავლებელი, რომელიც შეძლებს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში მოსწავლეთათვის არა მარტო მაღალი ხარისხის ცოდნის გადაცემას, არამედ ცვალებადი პროფესიული გარემოს გაცნობიერებას და თავის პროფესიულ საქმიანობაში გათვალისწინებას.</p> <p>პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ძირითადი სფეროა ზოგადსაგანმანათლებლო (საჯარო და კერძო) სკოლები. კურსდამთავრებული, თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, შეძლებს დასაქმებას სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში ან/და სწავლის გაგრძელებას სწავლების შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში.</p>
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ul style="list-style-type: none"> - აქვს ცოდნა პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ დისციპლინებში; - აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სასწავლო საგნებში საბაზისო ცოდნა; - იცნობს საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურასა და მიზნებს და მასწავლებლის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ დოკუმენტებს, გაცნობიერებული აქვს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა; - ფლობს სწავლება/სწავლის - კითხვისა და წერის, ლოგიკური აზროვნების, მათემატიკური ოპერაციების, ადამიანის გარესამყაროსთან ურთიერთობის სტრატეგიებს და მოსწავლეთა შეფასების თანამედროვე სისტემას; - აქვს მშობელთა და მოსწავლეთა ურთიერთობაში წამოჭრილი პედაგოგიური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით კონსულტირებისათვის საჭირო ცოდნა; - იცნობს ბავშვის განვითარების ანატომიურ-ფიზიოლოგიურ და ასაკობრივ თავისებურებებს და სასწავლო პროცესში მოზარდის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს; - აქვს ცოდნა ჯანსაღი, უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობისა და სწავლებისა და აღზრდის ჰიგიენური საფუძვლების შესახებ. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> - აქვს სწავლისა და განვითარების თეორიების, სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების უნარი; - შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ფიქრის კულტურის განვითარებისათვის; - განურჩევლად ეთნიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური მდგომარეობისა, შეუძლია მოსწავლისთვის სწავლის ხელშემწყობი, თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნა; - აქვს მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრის, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებისა და ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო უსაფრთხო გარემოს შექმნის უნარი; - აქვს პედაგოგიური პროცესის დაგეგმვის, დროის სწორად განაწილებისა და მართვის უნარი.

<p>შეფასების წესი</p>	<p>ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.</p> <p>A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანკარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D– დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>ნანა მაკარაძე - განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995) 593 60 60 71; ელ. ფოსტა: nmakaradze@bsu.edu.ge</p>